



სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე

სრული პროფესორი თემურ შენგელია

სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა

სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი

ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა

ასოცირებული პროფესორი დავით ნარმანია

თბილისი

2011

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

„შეთანხმებულია“:

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მ/შ

ასოც. პროფ. ე.ლეკაშვილთან -----

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან

პროფ. ნინო დურგლიშვილთან -----

ფაკულტეტის საბჭოსთან

ოქმი № — ————— 2011

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანის მ/შ

სრული პროფ. ე.ხარაბაძე -----

„დამტკიცებულია“

უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ

ოქმი № — ————— 2011

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
სამაგისტრო პროგრამის შინაარსი

) პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად) -----	3
) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)-----	3
) პროგრამის მოცულობა კრედიტებით -----	3
) სწავლების ენა -----	3
) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი -----	3
) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა -----	5
) სწავლის შედეგი -----	5
) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები -----	42
) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა -----	44
) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით ---	47
) პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი-----	15
) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ -----	53
) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით -----	54
) დასაქმების სფეროები -----	55
) პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა-----	54
) სწავლის შედეგების რუკა-----	55

I. პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

Master of Business Administration

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი, მოდულისთვის სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი, არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (თითოეული მოდულისთვის), საკურო ნაშრომი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 10 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი

IV. სწავლების ენა: ქართული ენა

V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობას განაპირობებს საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების შეუქცევადი ხასიათი და მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობა, რაც მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში მრავალი ადამიანის დასაქმებას იწვევს. შესაბამისად, იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადების მოთხოვნა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ: ა) ბიზნეს-ორგანიზაციების სტრატეგიების დაგეგმვის, ეფექტიანი მართვის, ორგანიზაციული დაპროექტების და სტრუქტურის განვითარების საკვანძო საკითხების ცოდნა და უნარ-ჩვევები; ბ) საბანკო საქმის, ფულად-საკრედიტო სისტემის, საჯარო და კორპორაციის ფინანსების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; გ) ფინანსური აღრიცხვა-

ანალიზისა და აუდიტის ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; დ) საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ბიზნესის მართვისა და რეგულირების, საერთაშორისო მენეჯმენტის, საერთაშორისო კონკურენციის მართვის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ე) ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი; ვ) ბიზნესის მართვის სხვადასხვა დონეზე არსებული საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ტოპ-მენეჯერის ფუნქციებისა და გადასაწყვეტი ამოცანების შესახებ ცოდნა და უნარ-ჩვევები; ზ) ბიზნესის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ფუნქციების და გარემოს შესწავლაზე. პროგრამა იძლევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დასაქმებისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე დიდი მოთხოვნაა საქართველოს შრომის ბაზარზე. მისი შემუშავებისას გათვალისწინებულია პოტენციურ დამსაქმებლების რეკომენდაციები და ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტირების შესაძლებლობები. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს დასაქმების ფართო პერსპექტივა, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია და კომპეტენციები. ამასთან, აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „ეკონომიკის პრინციპები“;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

VI. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ, რომლებიც აღწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით.

1. ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- 1.1. მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები; ორგანიზაციის მართვის მეთოდები და პრინციპები; ორგანიზაციის მართვის თანამედროვე მიდგომები; სიტუაციის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ტაქტიკა; მენეჯმენტის ცალკეული ფუნქციების რეალიზაციის ინსტრუმენტები;
- 1.2. ფირმის მართვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რაც წინ უძღვის მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებას; ძირითადი ტენდენციებისა და ძალების აღწერა, რომლებიც ურთიერთობათა ახალ ეპოქაში მარკეტინგულ პეიზაჟს ცვლიან; კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორების გამოკვეთა და ორგანიზაციის საქმიანობაზე მათი ზეგავლენის გაცნობიერება; მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება მყიდველთა კაპიტალის შექმნისა და მისი შემდგომი ზრდის გათვალისწინებით;
- 1.3. ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე თეორია ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრისას და ასევე ფინანსურ რესურსების მოზიდვის მეთოდების შერჩევის დროს; კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების შედგენა და ანალიზის განხორციელების მეთოდები, ასევე ფინანსური განვითარების პროგნოზი; ფინანსური გადაწყვეტილებების რისკების, შემოსავლიანობის და ეფექტურობის შეფასება, მათ შორის გრძელვადიანი დაფინანსების სტრატეგიის განსაზღვრა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებების მომზადება; კაპიტალის მართვის და სადივიდენდო პოლიტიკის გამომუშავება;
- 1.4. ინფორმაციული რესურსების მართვაში ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; მმართველობითი საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სხვადასხვა ვარიანტების ეფექტიანობის შეფასება; ინფორმაციული უზრუნველყოფის სფეროში ორგანიზაციაში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის, შერჩევისა და სწავლების პოლიტიკის განსაზღვრა; ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე ორგანიზაციისათვის საჭირო პროგრამული და ტექნიკური საშუალებების შერჩევა; ინფორმაციული რესურსების კომპლექსური დაცვის საკითხები;
- 1.5. მმართველობითი აღრიცხვის მეთოდისა და მეთოდოლოგიის საკითხები; დანახარჯების აღრიცხვის ხერხების თავისებურებები; მმართველობითი

აღრიცხვის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები; მართვის ალტერნატიული ვარიანტები, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;

- 1.6. კავშირი გლობალიზაციასა და საერთაშორისო ბიზნეს შორის; მათი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები მსოფლიოში; ერებს შორის ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული, სოციალური დიფერენციაციის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; რელიგიისა და კულტურის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; გლობალური ბიზნესის ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები; გლობალური ვაჭრობის ეკონომიკური პოლიტიკა; რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; უცხოურ ბაზარზე შესვლის სტრატეგიები; ადამიანურ რესურსების მენეჯმენტი გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი; საქმიან ურთიერთობათა სამართლებრივი ფორმები გლობალურ ბიზნესში; მარკეტინგისა და მენეჯმენტის როლი გლობალურ ბიზნესში; საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესები; საფინანსო ინსტიტუტების როლი გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფილოსოფიური საფუძვლები; გლობალური ბიზნესის დაწყების ორგანიზაცია; საგარეო ბაზრებზე შესვლის სტრატეგიები; გლობალური წარმოების პროცესი, წარმოების საწარმო და ოპერატიული მართვა; გლობალური ბიზნესის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის პროცესი; სახელმწიფოს როლი გლობალური ბიზნესის რეგულირებაში.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლება:

- 2.1. ამოცანების სწორად დასმა და მმართველობითი ინსტრუმენტების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება; ორგანიზაციული სისტემის რაციონალური დაპროექტების მეთოდების შერჩევა; ორგანიზაციული ცვლილებებისა და განვითარების მართვა; მაღალეტიკური ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა და მენეჯერული უნარების გამოვლენა კორპორატიული კულტურის ფარგლებში; წამყვანი მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილებისა და გლობალური მენეჯმენტის თანამედროვე მიღწევების გამოყენება;
- 2.2. კომპანიის მართვისათვის მარკეტინგული კონცეფციების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება; მიზნობრივი ბაზრების შერჩევა და თითოეული ბაზრისათვის შესაბამისი მარკეტინგის კომპლექსის დაკავშირება; მარკეტინგული საქმიანობის (სტრატეგიის) ეფექტიანობის შეფასება თითოეული პროდუქტისა და ბაზრის დონეზე;

- 2.3. უახლესი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით ძირითად, საფინანსო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- 2.4. საინფორმაციო სისტემის მენეჯმენტის ამოცანების კლასიფიცირება და სამართავი ობიექტისთვის ინფორმატიზაციის სფეროში კადრების შერჩევა; საწარმოსთვის საჭირო ინფორმაციული რესურსების ოპერატიული და სტრატეგიული მართვის გეგმების მომზადება; ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოების ღონისძიებების შერჩევა; საინფორმაციო სისტემების შექმნის, დანერგვისა და ექსპლოატაციის ხარჯების კლასიფიცირება; ინფორმატიზაციის სფეროში ინოვაციური პროექტების განხორციელება და დემონსტრირება;
- 2.5. დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება; წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის (ანგარიშის) შედგენა; გაუთვალისწინებელ პირობებში დანახარჯების ეფექტიანი მართვის გზების ძიება; დანახარჯების მართვის კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და ინტერპრეტაციების უნარი;
- 2.6. გლობალური ბიზნესის სფეროში მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის მსოფლიო კანონზომიერებათა ათვისების, მათი გენერაციისა და საქართველოს რეალობაში გამოყენების უნარი; გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური ანალიზისა უნარი და გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის წარმოებაში კულტურული თავისებურებების როლის შეფასების უნარი; რეგიონული ინტეგრაციული პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; გლობალური ადამიანური რესურსების საკითხების ანალიზის და მართვისას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარი; საგარეო გაცვლითი ბაზრისა და საერთაშორისო მონეტარული სისტემის გაანალიზების უნარი; გლობალური წარმოების და ლოჯისტიკის დახასიათების და მართვისას გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის სტრატეგიების დადგენის უნარი.

3. დასკვნის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლება:

- 3.1. აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, კრიტიკული ანალიზი და სინთეზი;
- 3.2. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტიკა;
- 3.3. ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება.
- 3.4. შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
- 3.5. არგუმენტირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება და დაცვა;
- 3.6. განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზება;
- 3.7. სტრატეგიული გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასება; პრობლემების გადაჭრა და ალტერნატივების შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეეძლება:

- 4.1. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- 4.2. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
- 4.3. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
- 4.4. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;
- 4.5. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა; ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა.

5. სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეეძლება:

- 5.1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- 5.2. სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
- 5.3. ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით;
- 5.4. სწავლის პროცესის თავისებურებათა ათვისება, მათი გაცნობიერება, დამოუკიდებელი დაგეგმვა.

6. ღირებულებები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლება:

- 6.1. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა აკადემიური პატიოსნებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით;
- 6.2. ეთიკური, სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- 6.3. ღირებულებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება.

სამაგისტრო პროგრამის არჩევითი მოდულის სწავლის შედეგები

მოდული მენეჯმენტი

1. ცოდნა და გაცნობიერება:

მენეჯმენტის მოდულის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მენეჯმენტში. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- 1.1. კორპორაციული მართვის თანამედროვე თეორიები და დებულებები, კორპორაციის მართვის თანამედროვე მეთოდები, ორგანიზაციაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა, კორპორაციის საქმიანობის დაგეგმარება, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეთოდები, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიდგომები და კორპორატიული კულტურის ფორმირების პრინციპები;
- 1.2. სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციები და მიდგომები; კომპანიის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა; სტრატეგიული ცვლილებების და განვითარების მეთოდები, კონკურენტულ უპირატესობაზე დაფუძნებული სტრატეგიების ფორმირება, შეფასება, შერჩევა და დანერგვა;
- 1.3. ბიზნესის გარემოს რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტები, საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო სამსახურების და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა ბიზნესის რეგულირების თვალსაზრისი, ბიზნეს გარემოს შეფასების მთავარი ინტრუმენტები, ბიზნესის რეგულირების მიმდინარე რეფორმების შეფასება;
- 1.4. რისკ მენეჯმენტის კონცეფციები, ფორმის რისკების განსაზღვრა და მათი სახეების იდენტიფიცირება, რისკ ფაქტორები გამოვლენა ბიზნეს გარემოში, რისკების მართვის პროცესი და მიდგომები, რისკების შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომები, რისკების მინიმიზაციის მეთოდები;

- 1.5. ანტიკრიზისული მენეჯმენტის კონცეფციები და მიდგომები, ანტიკრიზისული მართვის მეთოდები და პრინციპები, ანტიკრიზისული გადაწყვეტილების მიღების ელემენტები და რეალიზაციის მექანიზმები;
- 1.6. რაოდენობრივი ანალიზის მნიშვნელობა და როლი მენეჯმენტში, რაოდენობრივი ანალიზის თეორიული დებულებები, რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები და მოდელები, რაოდენობრივი ანალიზის ოპტიმალური მოდელის შერჩევის მეთოდიკა და პრაქტიკული რეალიზაციის პრინციპები;
- 1.7. საერთაშორისო მენეჯმენტის თეორიული დებულებები, გლობალურ გარემოში საბაზრო მართვის მოდელის პარამეტრები, კრიტერიუმები და მოქმედების მექანიზმი, მრავალფეროვანი კულტურების შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასება გლობალურ გარემოში კომპანიების მართვისას;
- 1.8. საზოგადოებრივი ადმინისტრირების ძირითადი თეორიები და დებულებები, საზოგადოებრივი ადმინისტრირების სისტემის ძირითადი მახასიათებლები და ელემენტები, სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოების კომპეტენციები და ადმინისტრირების მეთოდები, ბიზნესის რეგულირებაში სახელმწიფოს როლი;
- 1.9. ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტის ძირითადი დებულებები, ტექნოლოგიური ცვლილებების დინამიკა და განვითარების შეფასება, ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმები, ინოვაციათა პროგნოზირება და დაგეგმვა, ოპტიმალური ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია;
- 1.10. კონფლიქტების მართვის ძირითადი ცნებები, პრინციპები და პროცესები, კონფლიქტის მართვის მეთოდები და კონფლიქტის თავიდან აცილების ტექნოლოგიები, სხვა ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედების ხერხები, სხვადასხვა მოლაპარაკებითი და საშუაშაგლო პროცედურის გამოყენება ორგანიზაციისთვის სასურველი შედეგის მისაღებად;
- 1.11. ლიდერობის კონცეფციების, პრინციპების, მეთოდების ჩამოყალიბება, თვითშეფასება, საკუთარი მიზნების, შესაძლებლობების შეცნობა, თვითმენეჯმენტის და პირადი წარმატების სტრატეგიის შემუშავება, ურთიერთობათა სიტუაციური მართვის სტრატეგიები – ადამიანებთან ურთიერთობების წარმართვის საკუთარი სტილის შექმნის მეთოდოლოგია, ორგანიზაციის დონეზე ლიდერობის სპეციფიკა, ორგანიზაციული დიზაინის, ცვლილებებისა და კულტურის ფორმირების სწორი ორიენტირების განსაზღვრა და გამოწვევა, გუნდის შექმნის პრინციპები და ჯგუფში ლიდერობის მიღწევა;

1.12. საინვესტიციო პროექტების მართვის მნიშვნელობისა და ადგილის შეფასება, პროექტების მართვის ძირითადი კომპონენტების განსაზღვრა, პროექტების მართვის ეტაპების ფორმირება, საინვესტიციო პროექტების შეფასება, არსებული შეზღუდვების ფარგლებში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მენეჯმენტის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება მენეჯერული პრობლემების გადასაჭრელად, აგრეთვე მიზნების ზუსტად დასახვა და მისი მიღწევისათვის აუცილებელი მმართველობითი კომპონენტების შემუშავება. ამისათვის მას უნდა შეეძლოს:

2.1. კორპორაციის მართვის თანამედროვე პრობლემების გამოვლენა და გაანალიზება, ორგანიზაციული დაპროექტების განხორციელება, ხელმძღვანელობის შესაფერისი სტილის შერჩევა, შესაბამისი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება, საზღვარგარეთის მენეჯმენტის თანამედროვე მიღწევების გამოყენება;

2.2. კომპანიის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა, კომპანიაზე მოქმედი გარე და შიგა ფაქტორების იდენტიფიცირება, მონიტორინგი და შეფასება, ბიზნეს-სტრატეგიების ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა, ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავება, შეფასება და ოპტიმალურის შერჩევა, სტრატეგიის რეალიზაცია და შესაბამისი ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება, სტრატეგიული განვითარების უზრუნველყოფა;

2.3. გარემოს სამართლებრივ-ეკონომიკური ანალიზი, ბიზნეს-გარემოში კონკრეტული ბიზნესის დაგეგმვა, ბიზნესის სახელმწიფო ადმინისტრირების ფორმების და მეთოდების ობიექტური შეფასება;

2.4. კომპანიის სტრატეგიული რისკების გამოვლენა და მართვის მექანიზმების განსაზღვრა, რისკების გათვალისწინებით კორპორატიული გადაწყვეტილებების შემუშავება, ოპტიმალური პორტფელის ფორმირება;

2.5. კომპანიის საქმიანობის დიაგნოსტიკა ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, გავრცელების ალბათობის განსაზღვრა მათემატიკური მეთოდებით, პროცესების გაანალიზება

და ანტიკრიზისული მართვის მარკეტინგული სტრატეგიისა და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, საწარმოს რესტრუქტურირების მოდელის შემუშავება;

- 2.6. რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების შერჩევა და პრაქტიკული რეალიზაცია, მენეჯმენტისა და ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ამოცანის დასმა, მისი რაოდენობრივი სპეციფიკაცია, იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება, სხვადასხვა პროგრამული პაკეტებით გამოყენებითი ამოცანების რეალიზაცია;
- 2.7. სხვადასხვაგვარი კულტურული გარემოს გავლენის შეფასება კომპანიების მართვაზე, საერთაშორისო არენაზე მართვის მეთოდების შერჩევა, სწორად განსაზღვროს, სად რა გავლენას ახდენს კულტურა და რამდენადაა საჭირო ამ გავლენათა გათვალისწინება გადაწყვეტილებათა მიღებისას;
- 2.8. სახელმწიფო უწყებაში საქმიანობების დაგეგმვა, კოორდინაცია და ადმინისტრირება, კონკრეტული გათვლების (სიმულაციური ანალიზის) ჩატარება სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის, უცხოური ქვეყნების ადმინისტრირების სისტემის თანამედროვე პრინციპების გამოყენება;
- 2.9. ტექნოლოგიური განვითარების შეფასება, ინოვაციურ პროცესში არსებული ფაქტორების გამოვლენა, გაანალიზება და ცვლილებების განხორციელება, ახალი პროდუქტის დანერგვა და განვითარება, ინოვაციათა დანერგვის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების გამოყენება;
- 2.10. კონფლიქტურ სიტუაციებში ქვეყნის საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრა, ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზი, სისტემატიზაცია და გადაწყვეტა, ორგანიზაციის ფუნქციურ ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობის შექმნა, პრაქტიკულ საქმიანობაში ორგანიზაციის მართვისას კონფლიქტის გადაჭრის მეთოდებისა და ხერხების გამოყენება, ადეკვატური (კონსტრუქციული) გადაწყვეტილებების მიღება;
- 2.11. პერსონალური განვითარების, იმიჯის მართვა, პიროვნებების ფსიქოტიპის შეფასებისა და მათთან ურთიერთობების მეთოდების შერჩევა და მართვა, თათბირის ჩატარება და სხეულის ენის გამოყენება, ორგანიზაციის დიზაინის სიტუაციური შერჩევა და დანერგვა, ლიდერობის სტილის სიტუაციური შერჩევა;

2.12. საინვესტიციო პროექტების ფორმირება და შეფასება, პროექტის შერჩევა ფინანსურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, პროექტების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ანალიზი და მართვა.

3. დასკვნის უნარი:

მენეჯმენტის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 3.1 აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
- 3.2 მენეჯმენტში ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირება და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- 3.3 ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა;
- 3.4 არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე;
- 3.5 ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტიკა;
- 3.6 შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
- 3.7 ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის პროცედურის აღწერა;
- 3.8 დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი:

მენეჯმენტის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 4.1. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება ;
- 4.2. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
- 4.3. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
- 4.4. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
- 4.5. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;
- 4.6. პროფესიულ მოლაპარაკებასა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;

5. სწავლის უნარი:

მენეჯმენტის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 5.1. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- 5.2. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- 5.3. ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება.

6. ღირებულებები:

მენეჯმენტის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი ღირებულებები:

- 6.1. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- 6.2. ეთიკური ნორმების დაცვა;
- 6.3. სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- 6.4. თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული პრობლემების გათავისება.

მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე

1. ცოდნა და გაცნობიერება:

„ფინანსები და საბანკო საქმის“ მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ფინანსებსა და საბანკო საქმეში. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- 1.1. ფინანსური რესურსების მართვის საფუძვლები; ფინანსური სისტემის თავისებურებები და ფინანსური ბაზრების თეორია; რისკების მართვის მეთოდები; ფინანსური შუამავლები, როგორც ფინანსური სისტემის რგოლი; კაპიტალის ფასი და კაპიტალის სტრუქტურის მართვის მეთოდები; სახელმწიფო ფინანსები, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილი და მისი მართვის მეთოდები; ფინანსური მენეჯმენტის როლი ფინანსური რესურსების მართვაში; ფინანსური ინფრასტრუქტურა და ფინანსური სისტემის რეგულირების თავისებურებები; ფინანსური ანგარიშგება, როგორც

რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალება; ფინანსების როლი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში.

1.2. გლობალიზაციის საფინანსო-სავალუტო ასპექტები; სავალუტო ბირჟების მუშაობის თავისებურებები და რისკების მართვის მეთოდები სადღილინგო ოპერაციებში; საერთაშორისო ანგარიშსწორება საკრედიტო და სადებეტო ბარათების მეშვეობით; საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მართვის მეთოდები; საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობა და ანგარიშსწორება; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მეთოდები. საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორები საფინანსო კრიზისის ფონზე; მსოფლიოს წამყვანი საკრედიტო ბაზრების მუშაობის თავისებურებანი და ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარი; საბანკო რეგულირება, საერთაშორისო საბანკო ურთიერთობები და ინტეგრირება (ბაზელის შეთანხმება და საქართველო); მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციები; მსოფლიო საფონდო ინდექსები და რეიტინგები.

1.3. ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; საინვესტიციო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები; საინვესტიციო პროექტის არსი; საინვესტიციო პროექტების ფულადი ნაკადების ანალიზის და შეფასების მეთოდები; ბიზნეს-გეგმის შედგენის მიზნები და მეთოდიკა; ბიზნეს-გეგმის როლი ინვესტიციური პროექტების დასაბუთებაში; საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების მეთოდები.

1.4. სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო დაწესებულებების დაფუძნებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი; საბანკო დაწესებულებების რეორგანიზაციის, შერწყმა/გაერთიანების, სანაციისა და ლიკვიდაციის პროცესების ზედამხედველობა-რეგულირების მექანიზმი; საბანკო საქმიანობაზე მოქმედი რისკების გამოვლენის, შეფასების, პრევენციისა და მართვის თანამედროვე სისტემა; სახელმწიფო საფინანსო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების სპეციფიკა და რეგულირების უახლესი მეთოდები; საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნები, ნორმატივები, ლიმიტები და კოეფიციენტები.

1.5. დაზღვევის თეორია და სადაზღვევო სისტემის ფორმირების და განვითარების მიმართულებები; რისკის არსი; რისკის მართვის ზოგადი პრინციპები; მზღვეველის ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა; გადაზღვევის ეკონომიკური არსი, როლი და ფუნქციები; დაზღვევის მიკრო და მაკროეკონომიკური მნიშვნელობა; სადაზღვევო მენეჯმენტი; მზღვეველის მარკეტინგი; საქართველოს სადაზღვევო სისტემა,

განვითარების პრობლემები, პერსპექტივები; სადაზღვევო სისტემის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი.

- 1.6. გადასახადების და დაბეგვრის თეორიული საფუძვლები; საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში; დაბეგვრის პრინციპები, პრაქტიკა და ინსტრუმენტები; საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სისტემების ფუნქციონირების საფუძვლები; დაბეგვრის გავლენა ფირმების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე; გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ვალდებულებანი და პასუხისმგებლობები.
- 1.7. კორპორაციული მართვის პრინციპები საბანკო დაწესებულებებში; შიდა კორპორაციული დოკუმენტები; კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობა და ფუნქციების გამიჯვნა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის კომერციულ ბანკში; დამოუკიდებელი დირექტორის ინსტიტუტი და მისი ფუნქციები ბანკში; კორპორაციული მდივნის როლი და უფლებამოსილებები ბანკში; აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები საბანკო დაწესებულებაში; ინფორმაციის გახსნილობის და გამჭვირვალობის მნიშვნელობა ბანკებში.
- 1.8. თანამედროვე საბანკო სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენის, ანალიზისა და შეფასების თანამედროვე ხერხები და მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგია; ბანკების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის განხორციელების თანამედროვე მექანიზმი; ბანკების საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მოდელის აგების მეთოდები.
- 1.9. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები; თანამედროვე ეპოქაში ფასიანი ქაღალდების მიმართ წაყენებული ფუნდამენტური მოთხოვნები; ფასიანი ქაღალდების განთავსების წესები; ფულადი ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტები; ფულადი ბაზრის, კაპიტალის ბაზრისა და სავალუტო ბაზრის განვითარების კანონზომიერებები; ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა; საფინანსო შუამავლების ტიპებისა და მათი ფუნქციები; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მართვისა და ზედამხედველობის სისტემები.

2) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის „ფინანსები და საბანკო საქმის“ მოდულის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- 2.1. ფინანსური სისტემის თავისებურებების გამოვლენა და დახასიათება; ფულადი საშუალებების განაწილება და საპროცენტო განაკვეთებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს რისკების გამოვლენა და შეფასება; კაპიტალის ფასის განსაზღვრა და კაპიტალის სტრუქტურის მართვა; სახელმწიფო ფინანსების, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილის დახასიათება და მისი მართვა; ანტიკრიზისული მენეჯმენტის ფინანსური მექანიზმების გამოყენება; ფინანსური ინფრასტრუქტურის დახასიათება და ფინანსური სისტემის რეგულირებაში მონაწილეობა.
- 2.2. საბანკო-სავალუტო ოპერაციების თამაშის წესების და ვაჭრობის ტექნოლოგიების გამოყენება; საერთაშორისო სავალუტო ბაზრზე მუშაობა ელექტრონული არხებით; სავალუტო კურსის ფორმირების და მართვის ტრადიციული მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენება; გამოიყენებს მსოფლიო საფინანსო ბაზრის ტენდენციებსა მსოფლიო საფონდო ინდექსებსა და რეიტინგებს.
- 2.3. ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზისა და სინთეზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავება; ინვესტიციური პროექტების შედგენისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემების კვალიფიკაციური ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; ინვესტიციური პროექტების ანალიზი და მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების გამოყენება და შეფასება;
- 2.4. საერთაშორისო საზედამხედველო მოთხოვნების, ნორმატივების, ლიმიტებისა და კოეფიციენტების ანალიზის საფუძველზე საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა გამოკვლევა და შედეგთა განზოგადება; საბანკო საქმიანობაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელება; რეგულირების უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით კომერციული ბანკის ფუნქციონირების ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება.
- 2.5. იდეების, მიზნებისა და დაგეგმვის პროცესის ანალიზის შედეგების გამოყენება ბაზრისა და გარე ფაქტორების ცვლილების ადექვატურად; სადაზღვევო რისკების გონივრული მართვა; თეორიული კონცეფციების პროფესიულ საქმიანობაში გადატანა; პროფესიული საქმიანობა

სტანდარტული და აპრობირებული მეთოდების გამოყენებითა და ეთიკური ნორმების დაცვით.

- 2.6. საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმვა და მათ ფორმირებაში გადასახადების როლის შეფასება; გადასახადების (დაბეგვრის) ძირითადი ელემენტების გაანალიზება; საბაჟო პროცედურების განხორციელება; გადასახადების დაგეგმვის პრაქტიკული განხორციელება; საგადასახადო და საბაჟო ანგარიშგების ფორმების, საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციების მომზადება; საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და მისი ოპტიმიზაცია.
- 2.7. კომერციული ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში არსებული პრობლემების კვლევა, ფაქტორთა ანალიზი და შედეგთა განზოგადება; დამოუკიდებელი დირექტორის როლისა და ფუნქციების ცოდნის გამოყენება; კომერციული ბანკის კორპორაციული მდივნის ფუნქციების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; კომერციული ბანკის კორპორაციული მართვის ოპტიმალური და ეფექტური მექანიზმის შემუშავება.
- 2.8. საბანკო საქმიანობის მართვასა და რეგულირებაში არსებულ პრობლემათა კვლევა, ფაქტორთა ანალიზი და მიღებულ შედეგთა განზოგადება; საბანკო მენეჯმენტში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება; ბანკების ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბება და ბანკის საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტიანი მოდელის აგება.
- 2.9. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზი და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება; ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდების შერჩევა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების შეფასება; ფინანსური ბაზრის ცალკეული სეგმენტის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და კვლევის შედეგების კომენტირება.

3) დასკვნის უნარი:

„ფინანსები და საბანკო საქმის“ მოდულის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- 3.1. პრობლემების ამოცნობა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

- 3.2. ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების ანალიზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავება;
- 3.3. თეორიული ცოდნის, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემა;
- 3.4. შედეგების ფორმულირება და დასკვნის ჩამოყალიბება;
- 3.5. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი შეფასება.

4) კომუნიკაციის უნარი:

„ფინანსები და საბანკო საქმის“ მოდულის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- 4.1. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია; საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად; საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა.
- 4.2. დებატებში მონაწილეობის, არგუმენტირებული ინფორმაციების წარმოდგენისა და კონტრარგუმენტების წარმოჩენა.
- 4.5. იდეებისა და ინფორმაციის ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- 4.6. უცხოურენოვანი ლიტერატურისა და სხვა საინფორმაციო რესურსების მოძიება, შესწავლა, გაგება და გადმოცემა; პრობლემატური საკითხების ირგვლივ საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტაციის ჩამოყალიბება და მისი გადმოცემა ქართულ და უცხოურ ენებზე.

5) სწავლის უნარი:

„ფინანსები და საბანკო საქმის“ მოდულის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- 5.1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- 5.2. სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;

5.3. სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა;

5.4. ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.

6) ღირებულებები:

„ფინანსები და საბანკო საქმის“ მოდულის კურსდამთავრებული შეძლებს:

6.1. ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას;

6.2. ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას;

6.3. ეთიკური ნორმების დაცვას.

მოდული: საბუღალტრო აღრიცხვა

1) ცოდნა და გაცნობიერება:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება აღრიცხვის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

1.1 ფინანსური აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტებით, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებისა და აღიარების წესები, საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები;

1.2 მმართველობითი აღრიცხვის და დანახარჯთა აღრიცხვის არსის, მიზნის და ფუნქციების ახსნა, თვითღირებულების ნორმატიული კალკულაციის მეთოდებში გარკვევა, თავისუფლი ორიენტაცია მმართველობითი აღრიცხვის მეთოდისა და მეთოდოლოგიის საკითხებში, მმართველობითი აღრიცხვის საკითხებზე პროექტების შედგენა. მართვის ალტერნატიული ვარიანტების ჩამოყალიბება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;

1.3 აუდიტის ჩატარება და ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებით, აუდიტის ცალკეული სტანდარტის მოქმედების არეალი, დადგენილი ნორმები, დადგენილი ნორმების საფუძველზე აუდიტორული დასკვნის მომზადების სპეციფიკა;

1.4 ბიზნესის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტები, საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო სამსახურების და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა ბიზნესის რეგულირების თვალსაზრისით, ბიზნეს-გარემოს შეფასების მთავარი ინსტრუმენტები, ბიზნესის რეგულირების მიმდინარე რეფორმების შეფასების ობიექტურობა;

1.5 საწარმოს რესურსების მართვის ERP სისტემებით შესრულებული სამუშაოების ანალიზი და ადმინისტრირება, საწარმოს რესურსების მართვის ERP სისტემებით: ორის ბუღალტერიით და

"Exact Globe 2003" -ით სამუშაოების შესრულება. ორის მენეჯერის პროგრამით საწარმოს ფინანსური აღრიცხვის წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხები;

1.6 სამეურნეო ოპერაციის რეალური ეკონომიკური შინაარსის დადგენა და შესაბამისი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, სააღრიცხვო პოლიტიკაში და შეფასებებში ცვლილებების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, შეცდომების კორექტირება ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდაციის პროცედურები; კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადება;

1.7 საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შეფასება; სათანადო რეკომენდაციების შემუშავება ფირმის ეფექტური ფინანსური მენეჯმენტისათვის; პროგნოზული ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ფირმის გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის შეფასება;

1.8 საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადები, დაბეგვრის ობიექტები, კოდექსით გათვალისწინებული შეღავათები, გადასახადის განაკვეთები. გადასახადების გაანგარიშების, აღრიცხვის, დეკლარირებისა და ადმინისტრირების წესები;

1.9 ფინანსური აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტებით, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებისა და აღიარების წესები; ცალკეული სტანდარტის მოქმედების არეალი, დადგენილი ნორმები, ამ ნორმების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვის მართვის სპეციფიკა, საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები.

2) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შესაბამისი მეთოდების გამოყენება სააღრიცხვო პრობლემების გადასაჭრელად, აგრეთვე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მომზადება შიდა და გარე მომხმარებლებისათვის. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შიდა რეზერვების გამოვლენა.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

2.1 ფინანსური აღრიცხვის საკითხების საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს 7,8, 17,20,26,28,31,40,32,36,37) შეფასება, მათი გადაჭრის ფორმებისა და მეთოდების შერჩევა; ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული საკითხების დასმა და არგუმენტურებული პასუხის გაცემა.

2.2 კომპლექსური წარმოების ტიპით განპირობებული კალკულაციის მეთოდის გამოყენება; დანახარჯების აღრიცხვა პროცესების მიხედვით და კალკულაციის ნორმატიული მეთოდის პრაქტიკული გამოყენება. რელევანტური და ალტერნატიული დანახარჯების გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების დროს;

2.3 ფინანსური ინფორმაციის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით შეფასება, დასკვნების გაკეთების ფორმებსა და მეთოდებში ორიენტირება, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის არგუმენტურებული დასკვნის გაკეთება;

2.4 გარემოს სამართლებრივ-ეკონომიკური ანალიზი, ბიზნეს-გარემოში კონკრეტული ბიზნესის დაგეგმვა, ბიზნესის სახელმწიფო ადმინისტრირების ფორმების და მეთოდების ობიექტური შეფასება;

- 2.5 ERP სისტემებით: ორის ბუღალტერიის, ორის მენეჯერის, 1c ”საწარმო8.0“-ს და "Exact Globe - 2003"-ით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის დამოუკიდებლად შესრულება;
- 2.6 სამეურნეო ოპერაციების ასახვა რეალური ეკონომიკური შინაარსით, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და მისი ცვლილებების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოამზადება;
- 2.7 ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მიღწევის გზების შემუშავება, საწარმოს გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის ჩატარება და შიგა რეზერვების გამოვლენა, საწარმოს ფინანსური რისკების შეფასება;
- 2.8 საწარმოს საგადასახადო აღრიცხვის წარმოება და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება კონკრეტულ სიტუაციაში. გადასახადების აღრიცხვაში აქტუალური პრობლემების გამოვლენა და ანალიზი, გადასახადების ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებისა და ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- 2.9 ფინანსური აღრიცხვის საკითხების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასება, მათი გადაჭრის ფორმებსა და მეთოდებში ორიენტირება, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებული საკითხების დასმა და არგუმენტურებული პასუხის გაცემა.

3) დასკვნის უნარი:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 3.1 აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
- 3.2 ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება;
- 3.3 შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა.

4) კომუნიკაციის უნარი:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 4.1. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
- 4.2. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;
- 4.3. ელექტრონული დოკუმენტებთან, ელექტრონული ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- 4.4. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
- 4.5. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;
- 4.6. ადამიანთა მოტივაციისა და საერთო მიზნების მისაღწევად მათი ორგანიზება.

5) სწავლის უნარი:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 5.1. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- 5.2. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- 5.3. ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება;

5.4. ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.

6) ღირებულებები:

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

6.1 ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;

6.2 ეთიკური ნორმების დაცვა.

მოდული: მარკეტინგი

1. ცოდნა და გაცნობიერება:

მარკეტინგის მოდულის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მარკეტინგში. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- 1.1. გლობალური მარკეტინგის გამოყენების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საგარეო ბაზარზე გასვლის მეთოდების გამორჩევა, საერთაშორისო ფირმების დამახასიათებელი ნიშნებისა და მართვის სტრუქტურის დემონსტრირება, ფირმების ინტერნაციონალიზაციის ეტაპებისა და ტიპების ჩამოთვლა, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის თავისებურებების, ფირმების კონკურენტული სტრატეგიებისა და კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ხერხების ჩამოყალიბება, საზღვარგარეთული მიზნობრივი ბაზრების სეგმენტაციისა და მიზნობრივი საბაზრო სეგმენტების შერჩევის პრინციპების ილუსტრირება, გლობალური მარკეტინგული კვლევის თანამედროვე მეთოდების განხილვა, გლობალურ ბაზარზე სასაქონლო, საფასო, კომუნიკაციური და დისტრიბუციული პოლიტიკის შემუშავების ხერხების აღწერა;
- 1.2. ფირმის მმართველობით საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიღებისათვის მარკეტინგული კვლევების მნიშვნელობის განსაზღვრა, მარკეტინგული ინფორმაციის, წყაროებისა და სისტემების კლასიფიცირება, მარკეტინგული კვლევის ეტაპების, პრობლემებისა და კომპონენტების ჩამოთვლა, საძიებო, აღწერილობითი და კაუზალური კვლევების შედარება, პირველადი და მეორადი ინფორმაციის სახეების, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების განხილვა, გაზომვის, სკალირების, შერჩევის მოცულობის განსაზღვრის მეთოდების აღწერა, მონაცემების შეგროვების სახეებისა და ანალიზისათვის მონაცემების მომზადების პროცედურების წარმოდგენა, მონაცემების სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამორჩევა, კვლევის ანგარიშის შეფასების კრიტერიუმებისა და წარმატებული პრეზენტაციის

რეკომენდაციების ჩამოყალიბება, მარკეტინგული კვლევის ეთიკური ნორმებისა და პრინციპების ფორმულირება;

- 1.3. მომხმარებელთა ქცევის მსოფლმხედველობის ფორმირების თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბება, მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების ჩამოთვლა, კულტურული ფასეულობების კონცეფციის ფორმირების პროცესების აღწერა, სოციალური კლასების მყიდველობითი გადაწყვეტილებების თავისებურებების გამოკვეთა, მომხმარებელთა მოტივაციისა და მათი ინდივიდუალური თავისებურებების შეცნობა, მომხმარებელთა ქცევაზე ოჯახის, რეფერენტული ჯგუფებისა და პერსონალური გავლენის განსაზღვრა, მყიდველობითი ქცევის მოდელების განხილვა;
- 1.4. ბრენდინგის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბება, ბრენდის კაპიტალის აქტივების ჩამოთვლა, ბრენდის იდენტურობის სისტემისა და ინდივიდუალობის გამოცნობა, ბრენდის პროექტის შექმნის მეთოდის განხილვა, ბრენდინგის კომუნიკაციური და ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა, ინტერნეტ-ბრენდის, მომხმარებლებთან ურთიერთობისა და გლობალური ბრენდების მართვის მეთოდების აღწერა, ბრენდის პოზიციონირების ეფექტური სტრატეგიების წარმოდგენა;
- 1.5. მომსახურების კლასიფიკაციისა და მახასიათებლების ჩამოთვლა, მომსახურების წარმოების სისტემისა და ყიდვის პროცესის თავისებურებების გამოკვეთა, მომსახურების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე კლიენტის ქცევის შეცნობა, ფოკუსირებისა და პოზიციონირების სტრატეგიების შემუშავების ეტაპების აღწერა, მომსახურების პროცესის დაგეგმვის ძირითადი ეტაპების დასახელება, მომსახურების შეთავაზების სტრუქტურისა და სტრუქტურული სქემების მახასიათებლების განსაზღვრა, მომსახურების სფეროში ფასწარმოქმნის, მარკეტინგული კომუნიკაციების, ეთიკის, საჩივრებზე მუშაობის პროცედურისა და რიგების პრობლემების განხილვა.

არჩევითი კურსები საშუალებას აძლევს მაგისტრანტს გაიღრმავოს მარკეტინგის კონკრეტულ სფეროში ცოდნა. კერძოდ, მაგისტრანტს, თავისი სურვილის მიხედვით ეცოდინება:

- 1.6. მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით ახალი სოციალური პროდუქტის ფორმირების შეცნობა, საზოგადოებისათვის საჭირობო სოციალურ პრობლემებისათვის სოციალური მარკეტინგის კამპანიების მისადაგება, სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით სოციალურ პრობლემებზე კოორდინირებული საქმიანობის

აღწერა, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამების განხილვა, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების დეტალურად ჩამოყალიბება;

- 1.7. ელექტრონული კომერციის სისტემებისა და გამოყენების თავისებურებების ჩამოყალიბება, ელექტრონული კომერციის სტრატეგიის, ელექტრონული ბიზნესის სტრუქტურისა და პროცესის ცვლილებისა და ფორმირების თავისებურებების გამოკვეთა, ორგანიზაციებისათვის ელექტრონული კომერციის მიმზიდველობის ფაქტორების დემონსტრირება, ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და web-საიტის აგებისათვის პროგრამული ინსტრუმენტების განხილვა, ონლაინ მომხმარებლის პროფილისა და ქცევის თავისებურებების შეცნობა, ელექტრონული გარემოსა და ინფორმაციული საზოგადოების ამოცნობა, ელექტრონულ კომერციაში მარკეტინგული კომუნიკაციის განსაზღვრა, სოციალური ქსელისა და ონლაინ მედიის ინდუსტრიის აღწერა;
- 1.8. საცალო და საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმების ჩამოთვლა, საცალო და საბითუმო ვაჭრობის სისტემების აღწერა;
- 1.9. B2B პროდუქტის ფორმირების თავისებურებების აღწერა, B2B კომპანიებსა და ფირმებში ორგანიზაციული ბაზრის მომხმარებელთა მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებების ჩამოთვლა, ბაზარზე B2B პროდუქტის პოზიციონირების თავისებურებების გამოკვეთა, B2B კომპანიებში პროდუქტის შესყიდვის ფორმებისა და სტიმულირების მეთოდების განხილვა;
- 1.10. სურსათის ბაზრის სეგმენტაციის, მარკეტინგული კვლევისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების შეცნობა, სასურსათო პროდუქტის წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროსთან მარკეტინგული გადაწყვეტილებების მისადაგება, შუა პროდუქციის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების, შენახვის პირობებისა და ვადების განსაზღვრა, გადაზიდვის საშუალებებისა და პირობების აღწერა, სასურსათო პროდუქტის რეალიზაციის სტიმულირებაზე მარკირების, რეკლამის, ბრენდინგისა და დიზაინის მნიშვნელობის გამოკვეთა, სასურსათო საქონლის შეთავაზების, განაწილების არხების, კომუნიკაციებისა და საფასო სტრატეგიის დეტალურად ჩამოყალიბება, სურსათის საერთაშორისო ვაჭრობის თავისებურებების ჩამოთვლა;
- 1.11. მარკეტინგული საქმიანობის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების თეორიული და პრაქტიკული საკითხების დეტალურად ჩამოყალიბება;
- 1.12. ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა, ფირმაში ინფორმაციის მოპოვების ხერხების აღწერა, ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურის დეტალურად ჩამოყალიბება.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მაგისტრანტს შეეძლება:

2.1. ფირმების საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობის ორგანიზაციაში მარკეტინგის ძირითადი სიძნელეების გამოცნობა და მათი გადაჭრა, საზღვარგარეთულ ბაზარზე შესვლისას ფირმის და საქონლის კონკურენტული პოზიციის ამაღლებისათვის სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების მომზადება, გლობალური მარკეტინგული გამოკვლევა და შედარებით ევექტური საზღვარგარეთული მიზნობრივი ბაზრების შერჩევა, საზღვარგარეთული ქვეყნის მარკეტინგული გარემოს თავისებურებების დემონსტრირება, გლობალური მარკეტინგული გეგმის დამოუკიდებლად შექმნა, საგარეო ბაზარზე სასაქონლო, საფასო, კომუნიკაციური და გასაღებითი პოლიტიკის გამოყენება, საგარეო-სავაჭრო მოლაპარაკებების წარმართვა და კონტრაქტების გაფორმება, ფირმაში საერთაშორისო მარკეტინგული განყოფილების შექმნა და მისი საქმიანობის ორგანიზაცია;

2.2. დამოუკიდებლად მოახდინოს მარკეტინგული გამოკვლევა, მარკეტინგული კვლევის ამოცანისა და კვლევის პრობლემის ილუსტრირება, მარკეტინგული კვლევის გეგმის და კვლევის ჩატარების შესახებ წინადადებების მომზადება, პირველადი და მეორადი ინფორმაციის შეფასება, ანკეტების ფორმებისა და კითხვების ფორმულირების წესის შერჩევა, შერჩევის მოცულობის გამოთვლა, მონაცემების ანალიზისათვის სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, მარკეტინგული კვლევის ანგარიშის ფორმის შექმნა და მისი დემონსტრირება;

2.3. მომხმარებელთა ბაზრის შეფასება მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მომხმარებელთა სხვადასხვა ტიპებისთვის მყიდველობითი ქცევის მოდელების შერჩევა, ბაზარზე მყიდველობითი ქცევის მოტივაციის გამოცნობა, მარკეტინგულ სტრატეგიებში პერსონალური გავლენის გამოყენება;

2.4. კომპანიების და ფირმების საქმიანობაში ბრენდინგის კონცეფციის პრინციპების გამოყენება, ბრენდის სტრატეგიის დოქტრინის შეფასება, მომხმარებლებთან ურთიერთობის პროგრამების და ლოიალურობის სქემების მომზადება, ბრენდების სიძლიერის მატრიცის შექმნა, სამამულო საწარმოებისა და კომპანიებისათვის წარმატებული ბრენდ-სტრატეგიების შერჩევა;

2.5. მიზნობრივი მომხმარებლების გამოცნობა, კლიენტის პორტფელის შექმნა, მომხმარებელთა საჩივრების შეფასება, კონკურენტული უპირატესობების დემონსტრირება და კონკურენტული პოზიციის შერჩევა, მომსახურების პოზიციონირების რუქა-სქემების მომზადება,

ფასწარმოქმნისა და მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება მომსახურების სფეროში, რიგების პრობლემის გადაჭრა.

არჩევითი კურსების სპეციფიკის შესაბამისად, მაგისტრანტს შეეძლება:

- 2.6. სოციალური მარკეტინგის კამპანიების შერჩევა, საზოგადოების ინტერესების განვითარებისათვის მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება, სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პროგრამების მომზადება ბიზნესის სექტორთან თანამშრომლობით;
- 2.7. ელექტრონული გარემოს თავისებურებების გამოცნობა და შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებების შერჩევა, ინფორმაციული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების დემონსტრირება, ელექტრონული კომერციის მარკეტინგული კომუნიკაციების შერჩევა, ონლაინ საცალო ვაჭრობის გამოყენება;
- 2.8. საცალო და საბითუმო ვაჭრობის თავისებურებების გამოცნობა, საცალო და საბითუმო ვაჭრობის ელემენტების შეფასება, მარკეტინგულ საქმიანობაში საცალო და საბითუმო ვაჭრობის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების გამოყენება;
- 2.9. B2B მარკეტინგული სტრატეგიული გეგმის მომზადება, B2B ბაზრის ინფორმაციული სისტემის მართვისა და კვლევის დემონსტრირება, B2B ბაზრის პროდუქტის პოზიციონირების შერჩევა, B2B მომხმარებელთა სტიმულირებაში გაყიდვების ცენტრის ორგანიზაციული მართვის გამოყენება;
- 2.10. სურსათწარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში მარკეტინგის პრინციპების გამოყენება, სურსათის მომხმარებლების და მათი მოთხოვნების გამოცნობა, ბაზრის წილის გამოთვლა და სეგმენტის მიმზიდველობის ახსნა, სურსათის ბიზნესში მარკეტინგული პროგრამების მომზადება;
- 2.11. მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, მარკეტინგული ამოცანების გადაჭრა ექსელის, აქსესის და SPSS-ის გარემოში;
- 2.12. საწარმოს ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების დემონსტრირება, მარკეტინგული ოპერაციების განხორციელებაში თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენება, ბიზნესის დაწყებისათვის სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და ბიზნეს-გეგმის მომზადება, ბიზნესის სფეროში რისკების შეფასება და დაზღვევის

შესაბამისი მეთოდების შერჩევა, მარკეტინგული საქმიანობის სფეროში არსებულ პრობლემების გადაჭრა და დადაწვეტილებების მიღება მისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. დასკვნის უნარი. სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება:

- 3.1. რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა;
- 3.2. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- 3.3. სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება;
- 3.4. განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზება;
- 3.5. სტრატეგიული გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასება;
- 3.6. პრობლემების გადაჭრა და ალტერნატივების შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი:

- 4.1. დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- 4.2. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
- 4.3. ელექტრონული დოკუმენტებთან, ელექტრონული ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- 4.4. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბება;
- 4.5. სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაცია და კამათი;
- 4.6. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია.

5. სწავლის უნარი:

- 5.1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- 5.2. სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
- 5.3. სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა;
- 5.4. ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.

6. ღირებულებები:

- 6.1. ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება;
- 6.2. ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
- 6.3. ეთიკური ნორმების დაცვა.

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

1) ცოდნა და გაცნობიერება

საერთაშორისო ბიზნესის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საერთაშორისო ბიზნესის სფეროში. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების თავისებურებები, ორგანიზაციის მისია და მიზანი; ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი და მისი კავშირი პროდუქციის სასიცოცხლო ციკლთან; ორგანიზაციის ფუძემდებლური კანონები და მათი კავშირი რეალურ ორგანიზაციებთან მიმართებაში; ორგანიზაციული სტრუქტურის კლასიკური კონცეფციები; ორგანიზაციული პრობლემების რაციონალური გადაწყვეტის ეტაპები და მეთოდები; ორგანიზაციული სტრუქტურის დაპროექტების მეთოდები და საფუძვლები; ორგანიზაციის არსი, პრინციპები, მეთოდები და ძირითადი მიმართულებები; ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავების მექანიზმი თანამედროვე ეტაპზე.

1.2 საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი თეორიები, კონცეფციები და ტენდენციები; საერთაშორისო ბიზნესპროცესების განვითარების ეტაპები და კანონზომიერებები; ცალკეულ კონკრეტულ სიტუაციებში აღნიშნული კანონზომიერებების ანალიზისათვის აუცილებელი მეთოდების გამოყენება; თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის პრობლემების განმაპირობებელი ფაქტორებისა და პოლიტიკის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი ტენდენციების ანალიზისა და ადექვატური დასკვნების უნარი.

1.3 საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაანალიზებისა და მათი პრაქტიკული ასპექტების გამოკვეთა; ადამიანური რესურსების მართვის პრობლემების გამოკვეთა, პერსონალის შერჩევა და შეფასება მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული მეთოდებით (კომპიუტერული მოდელების გამოყენებით); იმიტაციის საშუალებით სხვადასხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების საფუძველზე ქვეყნების გეოპოლიტიკური პირობების შეფასება და შესაბამისად მათი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტერესების შეთანხმება.

1.4 ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალმხრივი რეგულირების სისტემაში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და მათი ფუნქციონირების მექანიზმი; საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან მსოფლიო ვაჭრობის, საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო და სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების ძირითადი მიმართულებები; მსოფლიო სასაქონლო ბაზრების რეგულირების თავისებურებები; პროდუქციის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის, საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების რეგულირების სპეციფიკა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან; საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის და სამრეწველო თანამშრომლობის მარეგულირებელი ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი თავისებურებები; საერთაშორისო არასამთავრობო სამეწარმეო ორგანიზაციებში მონაწილეობის უპირატესობები.

1.5 საერთაშორისო ფინანსების არსი, ამოცანები და როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში; მსოფლიო ფულადი სისტემის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი; სავალუტო ბაზრის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში; საგადასახდელი ბალანსის სტრუქტურა და მისი წაკითხვა; რეგიონული ვალუტების (ევროვალუტის) წარმოშობის მიზეზები და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორები და პირობები; საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების, მათ შორის აქციების, ობლიგაციების და დერივატების როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების განვითარების საქმეში; საერთაშორისო კომერციული საბანკო საქმის განვითარების ეტაპები, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ფორმები და მეთოდები; საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში რისკების მართვის თანამედროვე მეთოდები და მიდგომები; საერთაშორისო ინვესტიციური პორტფელების მართვისა და დივერსიფიკაციის მექანიზმები; საკრედიტო, სააქციო და ძვირფასი ლითონების საერთაშორისო ბაზრების მახასიათებლები; საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და კერძო ფინანსების ფორმირებისა და განვითარების თეორიული და პრაქტიკული მახასიათებლები.

1.6 საერთაშორისო ვაჭრობის არსი, ამოცანები და როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში; საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ფორმები და მეთოდები; საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურა; მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურა; საგარეო და საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები და მექანიზმები; საერთაშორისო ვაჭრობის ფინანსური უზრუნველყოფის ფორმები და მეთოდები; საერთაშორისო ინსტიტუტების როლი და ამოცანები მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასა და განვითარებაში; ეკონომიკური და კომერციული დიპლომატიის არსი და ამოცანები; საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების დინამიკა და სტრუქტურა.

1.7 ორგანიზაციის თავისებურებები, ორგანიზაციის მისია და მიზანი; ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი და მისი კავშირი პროდუქციის სასიცოცხლო ციკლთან; ორგანიზაციის ფუძემდებლური კანონები და მათი კავშირი რეალურ ორგანიზაციებთან მიმართებაში; ორგანიზაციული სტრუქტურის კლასიკური კონცეფციები; ორგანიზაციული პრობლემების

რაციონალური გადაწყვეტის ეტაპები და მეთოდები; ორგანიზაციული სტრუქტურის დაპროექტების მეთოდები და საფუძვლები; ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავების მექანიზმი თანამედროვე ეტაპზე.

1.8 საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში; საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოების არსი და შინაარსი; საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი ენდოგენური და ეგზოგენური მუქარები; განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული საერთაშორისო მნიშვნელობის ობიექტები; საერთაშორისო ბიზნესის რესურსული უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტების უსაფრთხოების პრობლემები; გადაუხდელობის დარეგულირების მექანიზმები საერთაშორისო ბიზნესში; ფინანსურ და ფულად ურთიერთობათა უსაფრთხოების როლი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში; კორპორაციული უსაფრთხოების დაცვის ფორმები და მეთოდები.

1.9 საერთაშორისო ბიზნესის ეთიკის ფორმები; ბიზნესის გარემო, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა; საქმიან ურთიერთობათა ეთიკური რეგულირების ფორმები; საქმიანი ურთიერთობების წყევანის პროცესები; ეთიკის როლი ბიზნესის განვითარებაში.

2) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება ამ დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციების საგარეო ბაზარზე საქმიანობის წარმართვისა და მათი საქმიანობის განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად. კერძოდ მას უნდა გააჩნდეს:

2.1 ორგანიზაციაში არსებულ პრობლემათა კვლევის, ფაქტორთა ანალიზისა და შედეგთა განზოგადების უნარი; ორგანიზაციაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების ჩვევები; ორგანიზაციათა მართვის ოპტიმალური და ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების უნარ – ჩვევები;

2.2 საერთაშორისო ბიზნესის ცალკეულ სფეროებში კონკრეტული სიტუაციებისა და პრობლემების საწყის დონეზე ანალიზის, მათი შეფასების, ინტერპრეტაციისა და გადაწყვეტის უნარი; თეორიული ცოდნის როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი; საკვანძო პრობლემების გამოვლენა და მისი გადაწყვეტის ალტერნატიული გზების დასახვა ბიზნესის სფეროში; ფაქტებთან და ჰიპოთეზებთან მუშაობის, მმართველობით პრობლემებზე გადაწყვეტილების მიღები უნარი; ბიზნესის დაწყებისათვის სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებისა და ბიზნეს-გეგმის, ბიზნეს-სტრატეგიის შედგენის უნარი (კომპიუტერული ექსპერტული სისტემების გამოყენებით).

2.4 წამყვანი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბების უნარი; საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების წარმომადგენლობების საქმიანობის გაანალიზების, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინტერნეტ-რესურსების მოძიებისა და დამუშავების უნარი;

2.5 საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციული მოვლენების ანალიზის, შეფასების და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარი სიტუაციის დარეგულირების მიმართულებით; ეროვნულ ეკონომიკაში საერთაშორისო ფინანსების მოზიდვის ეფექტიანი ფორმების შერჩევის მიმართულებით აზრის გამოხატვის და ამ კუთხით კრიტიკული შეფასების უნარი.

2.6 საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ეროვნული სამეურნეო სუბიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემების სიღრმისეული ანალიზის, შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების უნარი. საერთაშორისო ვაჭრობის კონიუქტურის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების, მათი ანალიზისა და პროგნოზირების უნარი.

2.7 ორგანიზაციაში არსებულ პრობლემათა კვლევის, ფაქტორთა ანალიზისა და შედეგთა განზოგადების უნარი; ორგანიზაციაში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ღონისძიებათა შემუშავებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების ჩვევები; ორგანიზაციათა მართვის ოპტიმალური და ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების უნარ – ჩვევები;

2.8 თეორიული ცოდნის როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარი; საერთაშორისო ბიზნესში მონაწილე ეროვნული სამეურნეო სუბიექტების უსაფრთხოების ანალიზის, შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების უნარი; საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მოპოვების, მათი ანალიზისა და პროგნოზირების უნარი.

3) დასკვნის უნარი:

- 3.1 ტნკ საგარეო ბაზრებზე კომერციული საქმიანობის ანალიზისა და სინთეზის უნარი; საგარეო ბაზრებზე არსებული კულტურული, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და პოლიტიკური განსხვავებების შესახებ ინფორმაციის მოძიების, დახარისხების და კრიტიკული შეფასების უნარი; პრობლემების ამოცნობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- 3.2 საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების პრობლემების ანალიზისა და სინთეზის უნარი; საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების საკითხებზე ინფორმაციის მოძიების, დახარისხების და კრიტიკული შეფასების უნარი; საერთაშორისო ბიზნესის საკითხებზე არგუმენტირებული ინფორმაციების წარმოდგენისა და კონტრარგუმენტების წარმოჩენის უნარები; საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების პრობლემების ამოცნობა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- 3.3 აბსტრაქტული აზროვნება სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება ანალიზი და სინთეზი; ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება; ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეპირისპირება და შეფასება; კონკრეტულ სამეურნეო სიტუაციაში (კეისში) ჩატარებული კვლევის შედეგად;
- 3.4 მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტიკა. ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავების უნარი;
- 3.5 ორგანიზაციული პრობლემების ანალიზისა და სინთეზის უნარი; ორიგინალური აზროვნება; ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და კრიტიკული შეფასების უნარი;

არგუმენტირებული ინფორმაციების წარმოდგენისა და კონტრარგუმენტების წარმოჩენის უნარები; პრობლემების ამოცნობა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

3.6 ინფორმაციის მოძიების, დახარისხების და კრიტიკული შეფასების უნარი; არგუმენტირებული კამათის და სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბების უნარი; პრობლემების ამოცნობა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

4) კომუნიკაციის უნარი

საერთაშორისო ბიზნესის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

4.1 საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობების წარმოების პროცესში (მოლაპარაკებები, ხელშეკრულებები და სხვა) საერთაშორისო დოკუმენტების შედგენა შესაბამისი ტერმინოლოგიური და საკანონმდებლო ბაზის გამოყენების საფუძველზე;

4.2 მის მიერ შედგენილი პროექტის წარდგენა (პრეზენტაცია);

4.3 მოლაპარაკებების წარმოება მულტიკულტურულ გარემოში.

4.4 საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც ტექნიკური, საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენება.

5) სწავლის უნარი:

საერთაშორისო ბიზნესის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

5.1 საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;

5.2 ცოდნის სისტემატური ამაღლება ტრენინგების, სპეციალიზებული სემინარების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების ათვისების გზით;

5.3 ცოდნის შემდგომი გაღრმავება უახლესი სპეციალიზებული ლიტერატურის გამოყენების გზით.

5.4 საკუთარი სწავლის მისწრაფებების განსაზღვრა გარემოს და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

6) ღირებულებები:

საერთაშორისო ბიზნესის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

6.1 მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და გაზიარება ეთიკის სტანდარტების საფუძველზე;

6.3. საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური ნორმების დაცვა და საკუთარი წვილის შეტანა ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.

მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის

მოდულით განსაზღვრულია შემდეგი კომპეტენციები:

1. ცოდნა და გაცნობიერება:
 - 1.1. გააჩნია ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის სისტემური, ტურიზმის გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
 - 1.2. გააჩნია ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული და სტრატეგიული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა;
 - 1.3. აქვს დეტალური ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ეროვნული და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ;
 - 1.4. შეუძლია არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
 - 1.5. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
 - 2.1. ფლობს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს გამოკვლევის, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
 - 2.2. გააჩნია კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი;
 - 2.3. შეუძლია ინოვაციური კვლევის მინიმალური დახმარებით დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
 - 2.4. შეუძლია გამოიყენოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები;
 - 2.5. აქვს ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;
 - 2.6. შეუძლია ოპერირება კომპლექსურ და გაუთვალისწინებელ, შესაძლოა განსაკუთრებულ კონტექსტში და საკითხების მოგვარება საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
 - 2.7. შეუძლია გამოავლინოს ინიციატივა და პერსონალური პასუხისმგებლობა პროფესიულ პრაქტიკაში;
 - 2.8. შეუძლია უნარ-ჩვევების ადაპტირება, ახალ სიტუაციაში ახალი უნარ-ჩვევების შექმნა ან შემუშავება და სხვ.
3. დასკვნის უნარი
 - 3.1. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;
 - 3.2. შეუძლია პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.
4. კომუნიკაციის უნარი
 - 4.1. შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;

- 4.2. შეუძლია ეფექტიანად იმუშაოს ჯგუფში, მის ლიდერად ან რიგით წევრად;
- 4.3. შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები და მოაგვაროს კონფლიქტები;
- 4.4. შეუძლია ეფექტიანად იყენებდეს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- 4.5. შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ (ინგლისურ) ენაზე.

5. სწავლის უნარი

- 5.1. შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროების განსაზღვრა;
- 5.2. გააჩნია დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, აქვს სხვების პროფესიონალიზმის გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია;
- 5.3. გააჩნია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

6. ღირებულებები

- 6.1. შეუძლია ახალი და კომპლექსური იდეების შეფასება, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი;
- 6.2. შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
- 6.3. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებდეს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი

1. ცოდნა და გაცნობიერება:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მოდულის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიზნესის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების შერჩევის, გამოყენებისა და მართვის საკითხებში. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- 1.1 ინფორმაციული მენეჯმენტის არსი, გადასაწყვეტი ამოცანებისა და საბაზისო ტერმინოლოგია; ინფორმაციული მენეჯმენტის განვითარების როლი და მნიშვნელობა; ინფორმაციული მენეჯმენტის ტექნოლოგიების ბაზარზე არსებული პროგრამული და ტექნიკური საშუალებები; საწარმოში საინფორმაციო სისტემების დანერგვის ეკონომიკური მიზანშეწონილობა; საინფორმაციო სისტემების სასიცოცხლო ციკლის არსებული მოდელები; ინფორმაციული ტექნოლოგიის მენეჯერის საქმიანობისა და საინფორმაციო სისტემის ფლობის ერთობლივი ღირებულებების მდგენელები; საინფორმაციო სისტემების არქიტექტურა; ბიზნეს-რეინჟინირინგის არსი; ინფორმატიზაციის სფეროში ინოვაციური პოლიტიკა; ინფორმაციული რესურსების კომპლექსური დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები და საშუალებები;

- 1.2 კლიენტსერვერული ტექნოლოგიებით შესრულებული სამუშაოების გაანალიზება და ადმინისტრირება, ეკონომიკური ამოცანების ავტომატიზაციისას კლიენტის როლში Access-ის როლის აღწერა, SQL სერვერის გამოყენებით მიღებული გამოცდილების ბაზაზე მონაცემების მართვის სხვა სისტემები (მაგ. Oracle); ლოკალურ და გლობალურ ქსელებში უახლესი მიღწევები;
- 1.3 საბანკო საინფორმაციო სისტემების ძირითადი ტერმინოლოგია, საბანკო საინფორმაციო სისტემის სტრუქტურა და მისი ფუნქციონირების საერთო სქემა, საბანკო საინფორმაციო სისტემის მოდულების დანიშნულება, შედგენილობა და ფუნქციური ურთიერთმოქმედება; ბანკთაშორისო ანგარიშსწორების სისტემები, საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენებით ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების სისტემები, ავტომატიზაციის ობიექტის შესაძლებლობებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ბანკის პროგრამულ-ტექნოლოგიური სტრატეგიები, წარმოდგენა ექნება როგორც სამამულო, ისე უცხოური საბანკო საინფორმაციო სისტემების განვითარების ტენდენციებზე.
- 1.4 მენეჯმენტში ინფორმაციული ტექნოლოგიების არსი, როლი და მათი გამოყენების მნიშვნელობა, საწარმოს საინფორმაციო სივრცის შესწავლისა და რესტრუქტურისაციის მეთოდები და ხერხები, ბიზნესის ტრადიციული და ინფორმაციული ამოცანები, საწარმოს მართვის სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემების დანერგვის სტრატეგიები, საწარმოში მართვის გაუმჯობესების მიზნით ინფორმაციული რეინჟინირინგის არსი, ელექტრონული ბიზნესის სახეები, ოპერატიული ანალიტიკური დამუშავების სისტემა – OLAP, წარმოების მართვაში არსებული საინფორმაციო სისტემები MRPI, CRP, MRPII, ERPII, BPM და BSC; დოკუმენტრუნვის მართვის ელექტრონული სისტემები, კორპორაციული ქსელი - ინტრანეტის ფუნქციონირების ძირითადი თავისებურებები;
- 1.5 ეკონომიკური საზღვრის თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, ეკონომიკური საზღვრის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, საინფორმაციო სისტემა ASYCUDA++-ისა და ASYCUDA world-ის შესაძლებლობები, დადებითი და უარყოფითი მხარეები, სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა, მათი როლი ეკონომიკურ საზღვრის მართვაში, პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის საინფორმაციო PIRS სისტემის ფუნქციონირება, ეკონომიკური საზღვრის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების წარმატებული და პრობლემური მხარეები;
- 1.6 ინფორმაციის, როგორც იურიდიული დაცვის ობიექტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ურთიერთდამოკიდებულების არსი, ინფორმაციული უსაფრთხოების საბაზო დებულებები და მათი ურთიერთკავშირი, ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები, მიზნები, ამოცანები, მეთოდები, შესაძლებლობები; უცხოური კომპიუტერული ფირმების მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტრატეგიული საშუალებები ინფორმაციის დასაცავად კომპიუტერული ვირუსებისგან, ჯაშუშური პროგრამებისა და სპამებისგან; მსოფლიოში

არსებული ინფორმაციული იარაღის სახეები და მათი შესაძლებლობები, 25-ე კადრის მეშვეობით ადამიანთა საზოგადოების ზომბირებისაგან თავდაცვის საშუალებები;

- 1.7 ფორმის (საწარმოს) მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების პროექტის შედგენის პრინციპები; პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით საწარმოს ეკონომიკური მონაცემების დეცენტრალიზებული დამუშავების ტექნოლოგია; საწარმოს დონეზე მონაცემთა ბაზის აღწერა; წარმოების ტექნიკური მომზადების, ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის, ძირითადი წარმოების ოპერატიული მართვის, კადრების მართვის, ასევე საბუღალტრო აღრიცხვის მართვის საინფორმაციო სისტემების ამოცანები;
- 1.8 საგადასახადო სისტემაში მოქმედი თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის და გადამხდელთა ვებ-პორტალის შესაძლებლობები, დადებითი და უარყოფითი მხარეები, სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემის მოდულები, მათი როლი საგადასახადო საქმიანობის მართვაში, საგადასახადო სისტემის მართვაში საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების წარმატებული და პრობლემური მხარეები;
- 1.9 პროექტების მართვის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანიშნულების, როლისა და ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა; პროექტების მართვის სფეროში კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიის შერჩევა; პროექტის შემაჯამებელი ამოცანის განსაზღვრა; პროექტის შესადგენად საჭირო ამოცანების ჩამოყალიბება; ქვეამოცანების ჩამოთვლა და რესურსების გამოკვეთა თითოეული ამოცანისადმი; ამოცანებს შორის კავშირების განსაზღვრა; მისაღები ანგარიშების ტიპების განსაზღვრა, დასახელება და ჩამოთვლა; ტიპების მიხედვით მიღებული ანგარიშების განსაზღვრა; რესურსების ტიპებისათვის ინფორმაციის კლასიფიცირება; საპროექტო ამოცანის მოსამზადებელ სამუშაოთა აღწერა და განსაზღვრა; საპროექტო სამუშაოთა დაგეგმვის მეთოდების კლასიფიცირება, მათი შეპირისპირება და ოპტიმალური მეთოდის განსაზღვრა;
- 1.10 ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებაში ქსელებისა და ქსელური ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა; ქსელის საბაზო საკომუნიკაციო მოდელის კომპონენტების განსაზღვრა; ქსელური ეკონომიკის ძირითადი ცნებებისა და ტერმინების ჩამოყალიბება; ქსელური ეკონომიკის ძირითადი პრობლემების ამოცნობა; ინფორმაციის როგორც ქსელური სიკეთის მახასიათებლის შეფასება; ქსელური ეკონომიკის პირობებში ინფორმაციულ პროდუქტებზე და მომსახურებაზე ფასწამოქმნის თავისებურების განსაზღვრა; ელექტრონული კომერციის სხვადასხვა სემენტზე გარიგებების თავისებურებების ჩამოყალიბება; ელექტრონული მთავრობის კონცეფცია; მისი ფორმირების მექანიზმი და სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში მისი როლი;
- 1.11 ASP.NET ტექნოლოგიით ვებსაიტების შექმნის ტექნიკა და ტექნოლოგიები, ვებსაიტის სტრუქტურა, ASP.NET ტექნოლოგიით შექმნილ ვებსაიტში დაპროგრამების განსხვავებულ ენებზე დაწერილი პროგრამული მოდულების კლასიფიცირება.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების სფეროში მენეჯერული პრობლემების გადასაჭრელად, აგრეთვე მიზნების ზუსტად დასახვა და მისი მიღწევისათვის აუცილებელი მმართველობითი კომპონენტების შემუშავება. ამისათვის მას უნდა შეეძლოს:

- 2.1 საინფორმაციო სისტემების შემუშავების მეთოდის შერჩევა, ფირმის სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების შესამუშავებლად ფირმაში არსებული და მოსალოდნელი შიგა და გარე ფაქტორების გამოკვლევა, საინფორმაციო სისტემების საწარმოში (ფირმა, კორპორაცია) დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებისა და ფლობის ერთობლივი ღირებულებების გამოთვლა, საინფორმაციო სისტემების შემუშავებასა და დანერგვაში ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, პროგრამული მოდულების საფუძველზე საინფორმაციო სისტემების კონსტრუირება, საინფორმაციო სისტემების შემუშავებისა და დანერგვის ჯგუფის შექმნა, საინფორმაციო სისტემების ფარგლებში სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების მომზადება, საინფორმაციო სისტემისთვის პერსონალის შერჩევა, ინფორმაციული რესურსების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და საშუალებების გამოყენება;
- 2.2 სამრეწველო პირობებში გამოყენებადი მენეჯმენტის, ფინანსური ანალიზის, ოპტიმიზაციის, პროგნოზირების, ბიზნეს-ანალიზის და სხვა პრობლემური უბნების ამსახველი პროგრამული პროდუქტების კლიენტსერვერული ტექნოლოგიით (კლიენტი Access, სერვერი SQL სერვერი) შექმნა და გამოყენება;
- 2.3 საბანკო საინფორმაციო სისტემების ძირითადი ტერმინოლოგიების გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე არსებულ საბანკო საინფორმაციო სისტემის შერჩევა/გამოყენება, საბანკო საინფორმაციო სისტემის მოდულების კლასიფიკაცია და ერთმანეთთან დაკავშირება, ბანკის როგორც ავტომატიზაციის ობიექტის გამოკვლევა, საბანკო საინფორმაციო სისტემის ტექნიკური დავალების მომზადება;
- 2.4 მენეჯმენტში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალური პრობლემების გადაჭრა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საშუალებების გამოყენება, საწარმოში ინფორმაციული პროცესების სრულყოფის მიზნით საინფორმაციო სისტემის დამპროექტებელთა ჯგუფის შექმნა, მარკეტინგის გეგმის შესამუშავებლად გარე და შიგა გარემოს გამოკვლევა, წარმოების მართვაში გამოსაყენებელი საინფორმაციო სისტემების შერჩევა, ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების შემუშავებისდმი სისტემური მიდგომის პრინციპის გამოყენება, წარმოების მართვაში კორპორაციული ქსელის გამოყენება, SPSS-ის პროგრამული პაკეტის ძირითადი შესაძლებლობების ილუსტრირება, CASE-ტექნოლოგიების კონსტრუირება;
- 2.5 ეკონომიკური საზღვრის მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, ეკონომიკური საზღვრის მართვაში საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებით მიღწეული შედეგების შეფასება, უახლესი მეთოდებით ბიზნესის სფეროში მართვის სრულყოფისთვის რეალიზებული ნებისმიერი საინფორმაციო სისტემის შესაძლებლობების შეფასება,

დადებითი, უარყოფითი მხარეების, კომპლექსური პრობლემების აღმოჩენა და გადაწყვეტა;

- 2.6 ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების აქტუალური პრობლემების გადაჭრის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიების ფლობის საფუძველზე ინფორმაციული, ანუ ფსიქოტრონულ ომთან დაკავშირებული საკითხების მომზადება და დადასტურებული პასუხის გაცემა, საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული ამოცანების გადაჭრა, ინფორმაციული, ანუ ფსიქოტრონული ომისგან თავდაცვის საშუალებების გამოყენება და დანერგვა;
- 2.7 ფირმაში წარმოების ტექნიკური მომზადების, ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის, ძირითადი წარმოების ოპერატიული მართვის, კადრების მართვის, ასევე საბუღალტრო აღრიცხვის მართვის საინფორმაციო სისტემების პერსონალურ კომპიუტერზე რელიზაციის პროექტის მომზადება;
- 2.8 საგადასახადო სისტემის მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, საგადასახადო საქმიანობის მართვაში საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებით მიღწეული შედეგების შეფასება, უახლესი მეთოდებით ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში მართვის სრულყოფისთვის რეალიზებული ნებისმიერი საინფორმაციო სისტემის შესაძლებლობების შეფასების, დადებითი, უარყოფითი მხარეების, კომპლექსური პრობლემების აღმოჩენა და გადაწყვეტა;
- 2.9 პროექტების მართვის სფეროში არსებული პროგრამული პაკეტების შეფასება, ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში პროექტების შედგენისა და მართვისათვის MS Project-ის გამოყენება, განტის დიაგრამის ოსტატის საშუალებით საპროექტო მონაცემების ილუსტრირება, ამოცანის ხანგრძლივობის შეცვლა და ექსპერიმენტირება განტის დიაგრამაზე მათ ცვლილებებზე, ქსელური გრაფიკების მომზადება, ანგარიშების მომზადება და დემონსტრირება;
- 2.10 ინფორმაციული საზოგადოების თეორიის სოციალურ ქსელებთან კავშირის ჩვენება, ქსელის საბაზო საკომუნიკაციო მოდელის აგება, ქსელური ეკონომიკისა და რეალური ეკონომიკის განმასხვავებელი თავისებურებების დადასტურება, ქსელური ეკონომიკის განვითარების პრინციპების ჩამოყალიბება, ინფორმაციულ ბაზარზე ფასწარმოქმნის ძირითადი ეტაპების, მათზე მომქმედი ფაქტორების, მეთოდებისა და სტრატეგიების შეფასება, ქსელურ ეკონომიკაში საწარმოს ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება, ქსელში ურთიერთობების დამყარების ხერხებისა და ინსტრუმენტების შერჩევა;
- 2.11 სამრეწველო პირობებში გამოყენებადი ASP.NET ტექნოლოგიით ინტერაქტიული ვებსაიტის კონსტრუირება, ექსპერიმენტირება და პრაქტიკაში გამოყენება.

3. დასკვნის უნარი:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 3.9 აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
- 3.10 საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების მენეჯმენტში ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირება და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- 3.11 ორგანიზაციის ანალიზისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა;
- 3.12 არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე;
- 3.13 ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი შეფასება;
- 3.14 შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
- 3.15 ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება და სამოქმედო გეგმის პროცედურის აღწერა;
- 3.16 დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე ხელმძღვანელობისთვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 4.7. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- 4.8. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
- 4.9. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
- 4.10. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;
- 4.11. ელექტრონული დოკუმენტებთან, ელექტრონული ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- 4.12. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა;
- 4.13. ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა.

5. სწავლის უნარი:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი მოდულის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- 5.4. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- 5.5. შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- 5.6. ცოდნის განახლება დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება.

6. ღირებულებები:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი მოდულის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- 6.5. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- 6.6. ეთიკური ნორმების დაცვა;
- 6.7. სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

სწავლის შედეგები გაწერილია ისეთნაირად, რომ გათვალისწინებულია შრომის ბაზრის, საგანმანათლებლო ბაზრის, მთავრობის, სტუდენტების, პროფესიული ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები. შესაბამისად, სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას და მათ დასაქმებას შრომის ბაზარზე.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან: დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. დამსაქმებლების საჭიროებების გამოვლენა ხორციელდება პრაქტიკის ორგანიზების პროცესში. ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან ვიღებთ რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. აკადემიური პერსონალი, სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, ადგენს სასწავლო კურსის სილაბუსებში ცვლილებების შეტანის საჭიროებას. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით, ცვლილებების საჯარო განხილვის და ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოზე მათი დამტკიცების გზით. სტუდენტთა მონაწილეობა ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მათ გამოკითხვას, პროგრამის განხილვაში მონაწილეობას, კომუნიკაციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ. პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ: კითხვარების საშუალებით, ინტერვიუს გზით და ა.შ.

სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულებს შეეძლება დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება.

VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

